

ბიზნესტექნოლოგიები

ურბანული სივრცის მდგრადი განვითარების პრობლემები საქართველოში

ვლადიმერ ვარდოსანიძე, თენგიზ მახარაშვილი, ზურაბ ლაოშვილი, ნინო ჩაჩავა, ნინო ფაილოძე. სტუ-ს გამომცემლობა, საგრანტო პროექტის „განათლების რეფორმა ცოდნის საერთაშორისო გაცვლის საშუალებით“ ფარგლებში. 350 გვ. თბილისი, 2017. <http://www.gtu.ge/publishhouse>

ანოტაცია - თანამედროვე ინტენსიური ურბანული განვითარებისა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში სულ უფრო აქტუალური ხდება ადამიანების ყოფაზე პოლიტიკური, საკანონმდებლო, ტექნოლოგიური, სამშენებლო ინდუსტრიის, ტრანსპორტის ფიზიკური და მორალური ზემოქმედების საკითხების შესწავლა, მათი განხილვა ურბანული ლანდშაფტის განვითარების, საცხოვრისის ორგანიზაციის, ამ კვლევებში გეოინფორმაციული და კარტოგრაფიული მეთოდების გამოყენების ჭრილში.

აღნიშნული სახელმძღვანელო ემსახურება ურბანული გარემოს ლანდშაფტური კვლევების, ურბანული საცხოვრისის ნაკლოვანებების აღმოფხვრის მეთოდების, გეო - ინფორმაციული კვლევების გამოყენების შესაძლებლობებისა და საქართველოს სინამდვილეში მათი დანერგვის მიმართულებებისა და პრინციპების წარმოჩენას.

The Problems of Urban Environment Sustainable Development in Georgia

Vladimer Vardosanidze, Tengiz Makharashvili, Zurab Loshvili, Nino Chachava, Nino Pailodze. GTU Publishing, TEMPUS project RETHINKe (Reform of Education Thru International Knowledge exchange“ No. 544178-TEMPUS-1-2013-PT-TEMPUS-JPCR. 350gv. Tbilisi. 2017, <http://www.gtu.ge/publishhouse>

Annotation - Modern intensive urban development and a free market economy is becoming increasingly important in people's lives, political, legal, technological, construction industry, transport, physical and moral impact studies, to examine the development of the urban landscape, housing organization, these studies geoinform Appreciation and use of cartographic methods of setting.

This guideline serves the use of urban environmental landscapes, methods of elimination of urban housing deficiencies, the use of geo-informative researches and the directions and principles of their implementation in Georgia.

კორუფციის ანალიზი საჯარო სამსახურში და ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავების პროცესი

პროფესორი გ. იაშვილი, დოქტორანტი ლ. ცომაია

ანოტაცია: კორუფცია უარყოფით გავლენას ახდენს თანამედროვე დემოკრატიული ქვეყნის განვითარებაზე, კანონის უზენაესობის განმტკიცებასა და ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე. კორუფცია ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას, ბიზნესის განვითარებასა და ინვესტიციების ზრდას ქვეყანაში. ამასთან, ქრთამის აღება, სახელმწიფო რესურსების მისაკუთრება, ინტერესთა კონფლიქტი, ზეგავლენით ვაჭრობა, ფავორიტიზმისა და ნეპოტიზმის შემთხვევები აფერხებს საჯარო ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ნდობას და დიდ უკმაყოფილებას იწვევს საჯარო სამსახურებისადმი. შესაბამისად, კორუფციის პრევენცია, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინსტიტუტებში კორუფციული პრაქტიკის აღმოფხვრა საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. მოცემულ ნაშრომში განხილულია ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავების პროცესი საჯარო სამსახურში.

გამომცემლობა: სტუ-ს ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 19–20 მაისი, 2017 წ. თბილისი. გვ.253–257

Corruption Analysis in Public Service and Process of Development Anti-Corruption Policy

Professor G.Iashvili, PhD Student L.Tsomaia

Resume: Corruption has a negative impact on the democratic development of the country, strengthening the rule of law and protection of basic human rights and freedoms. Corruption prevents the economic development, business growth and investment in the country. In addition, corruption, misappropriation of public resources, conflict of interest, trading in influence, favoritism in public institutions prevents public confidence and causes the great discontent of the public services. Therefore, prevention of corruption, eliminate corruption in state and public institutions, is one of the key priorities of the georgian government. The main aim of the Anti-Corruption Strategy is to create united anti-corruption policy for corruption prevention and to fight against them. By increasing the transparency of public sector, to improve public trust, strengthening civil society and establishment transparent and accountable governance.

Publishing: International Scientific Conference of GTU Business Technologies faculty, 19-20 May, 2017 Tbilisi., p.253-257.

საჯარო მართვის სტრატეგიის სრულყოფის საკითხები

პროფესორი თინათინ იაშვილი, დოქტორანდი ლელა ქინკლადე

ანოტაცია: სტრატეგია არის მართვითი გადაწყვეტილების მიღების უმთავრესი კონცეპტუალური საფუძველი. ძალზე მნიშვნელოვანია ნათლად და ყოველმხრივ დასაბუთებულად, საზოგადოებასთან შეთანხმებით და მისი აქტიური მონაწილეობით იყოს განსაზღვრული ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტრატეგიული პრიორიტეტები. სტრატეგია, ბუნებრივია, მხოლოდ კეთილ სურვილად დარჩება, თუ არ იქნა უზრუნველყოფილი მისი განხორციელების სახელმწიფო, სექტორული, რეგიონული თუ მიზნობრივი პროგრამები, ხოლო ეს უკანასკნელნი ყველა საჭირო რესურსით უნდა იყონ უზრუნველყოფილი.

იმისთვის, რომ სახელმწიფო მართვის ნებისმიერი სტრატეგიისა და შესაბამისი მიდგომის ეფექტიანი რეალიზება მოხდეს, აუცილებელია შესრულდეს სხვადასხვა პროცედურა და ნათლად გაირკვეს, თუ ვინ, რას, როდის და როგორ გააკეთებს, რაზე აგებს პასუხს. მოხსენებაში განხილული იქნება სტრატეგიის რეალიზების კონკრეტული პროცედურები, რომელთა არც თუ მცირე ნაწილის არასათანადოდ შესრულება, ერთმანეთთან დაუკავშირებლობა ან სრულიად შეუსრულებლობა მიგვაჩნია ხელისუფლების საქმიანობის სისტემურ და სტრატეგიული მართვის ერთ-ერთ მთავარ ნაკლოვანებად.

აუცილებელია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ სახელმწიფო მართვის სისტემის სრულყოფის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება სახელმწიფოს, კერძო სექტორსა და საზოგადოებას შორის ფუნქცია-პასუხისმგებლობათა სწორი დელეგირებაა. ნათლად უნდა იყოს გარკვეული, თუ რა ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს იღებს ხელისუფლება, რის დელეგირებას ახდენს, რაში და როგორ ეხმარება ის კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებას.

გამომცემლობა: მე-11 ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ხელისუფლება და საზოგადოება– 2017 წლის 25 ნოემბერი, 7–ე გვერდი, თბილისი.

Issues of improvement of public management strategy

Professor Tinatin Iashvili, Doctoral student Lela Kinkladze

Resume: The Strategy is the principle conceptual basis for decision making. It is very important to have it clearly and fully justified, and agreed upon with the public, and its active involvement in strategic priorities to have the country's political, economic and social development. The strategy will naturally remain unimplemented, if not the state, sectoral,

regional or targeted programs created for its implementation, and it should be provided with all the resources available.

In order to ensure effective implementation of any strategy and appropriate approach of state management, it is necessary to perform various procedures and find out who is responsible, what, when and how to do it. The presented report will discuss specific procedures of realization of the strategy, in which some or less part of it is unreliable, to link to or interfere with each other as one of the major deficiencies in the systematic and strategic management of the government.

It should be emphasized that one of the strategic directions of improvement of the state management system is the proper delegation of functions and responsibilities between the state, private sector and society. It should be clear what the functions and responsibilities of the government are, what is delegated by them and how it helps the private sector and civil society.

Publishing: 11th International Scientific Conference "Government and Society - November 25, 2017, page 7, Tbilisi.

საზოგადოებრივი ინტერესები, რისგან დგება და რამდენად სწორად ასახავენ ადამიანების ჭეშმარიტ მოთხოვნებს

დოლონაძე შოთა

ანოტაცია: საზოგადოებრივი ინტერესები, ეს სიტყვები თითოეულ ჩვენგანს ხშირად ესმის და რაც უფრო დემოკრატიულია სახელმწიფო, მით მეტი პასუხისმგებლობის მატარებელია საზოგადოების მოთხოვნათა გათვალისწინება ქვეყნის მართვასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში. სტატიაში სათანადო კვლევებისა და ანალიზის საფუძველზე განმარტებულია, რომ, მიუხედავად ადამიანის, როგორც ცენტრალური ფიგურის არსებობისა დემოკრატიულ საზოგადოებაში, საზოგადოებრივი ინტერესები არც ცალკეული ადამიანის ინტერესებია და არც ამ ადამიანების ინტერესთა უბრალო ჯამია. აქ ერთის მხრივ შეიძლება საქმე გვექონდეს ერთგვარ სინერგიასთან, თუმცა ისიც ვერ ასახავს რეალობას. საზოგადოებრივი ინტერესები ერთ შემთხვევაში ისიც ინტერესებია, რომლებიც უმრავლესობის ინტერესს გამოხატავს, სხვა შემთხვევაში კი შეიძლება საზოგადოების ერთი ნაწილის ინტერესებიც იყოს. ორივე შემთხვევაში საჭიროა ის დაემთხვეს ქვეყნისთვის უპირველესი რიგის ამოცანის გადაწყვეტას, იმის, რისი უგულველყოფით, შესაძლებელია ყველანაირმა ინტერესმა აზრი დაკარგოს.

გამომცემლობა: ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია “ხელისუფლება და საზოგადოება”, თბილისი, 2017 წ. 8 გვ.

Public needs of what they are, and how correctly reflect the true needs of people

Dogonadze Shota

Resume: Public interests, these words are often understood by each of us and the more democratic is the state, the more responsibilities is to take into account the demands of the public in the country's management and everyday's life. In the article, on the basis of appropriate research and analysis, is cleared, that despite the existence of a central figure in a democratic society, public interests are not the interests of individual people and the common interests of these people. Here we can deal with a single synergy, but it does not even reflect reality. Public interests are, in some cases, the interests of the majority and in other cases, the interests of one part of society. In both cases it is necessary to coincide with the solution of the primary order for the country, whatever you ignored, all the interest can be lost.

Publishing: International Annual Scientific Conference "Government and Society - November 25, 2017, Tbilisi, 8p.

კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების ალტერნატივა

დოღონაძე სოფიო

ანოტაცია: კონფლიქტები ახალი და უცნობი პრობლემა არ არის კაცობრიობისთვის. მათი მოგვარების გზები მრავალფეროვანია, თუმცა ურთულესიც, რამდენადაც არც ერთი კონფლიქტი არ ჰგავს ერთმანეთს. ეს უპირატესად იმიტომ განპირობებულია, რომ კონფლიქტის მონაწილეები განსხვავებული და თან დიამეტრალურად განსხვავებულია. ავტორს იმის მცდელობა აქვს, რომ დამტკიცებულ იქნეს დიდი ხნის წინ არსებული დებულება - კონფლიქტების მოგვარების მშვიდობიან გზას ალტერნატივა არ გააჩნია. ყველა სამხედრო კონფლიქტი მშვიდობიანი მოლაპარაკებებით მთავრდება. საქართველოში არსებული კონფლიქტების მოწესრიგების გზაც მხოლოდ მშვიდობიანი შეიძლება იყოს, ამას ხაზი გაესვა საქართველოს მოსახლეობის ერთი ნაწილის გამოკითხვითაც. გამოკითხულთა

აბსოლუტური უმრავლესობა კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების ალტერნატივას ვერ ხედავს.

გამომცემლობა: ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია “ხელისუფლება და საზოგადოება”, თბილისი, 2017 წ. 6 გვ.

An alternative to peaceful settlement of the conflict

Doghonadze Sophie

Resume: Conflicts are not the new and unknown problem for humanity. The ways of their solution are different, though it is difficult, as no conflict is the same. This is mainly due to the fact that the conflict participants are different and diametrically different. The author has an attempt to prove that the long-term provision - a peaceful way to resolve conflicts has no alternative. All military conflicts end with peaceful negotiations. The path to the settlement of the conflicts in Georgia can only be peaceful, underlined by a survey of one part of the Georgian population. The absolute majority of the respondents do not see the alternatives to peaceful arrangement of conflicts.

Publishing: International Annual Scientific Conference "Government and Society - November 25, 2017, Tbilisi, 6p.

უმაღლესი სასწავლებლების ბრენდის მართვის პროცესი

თ. როსტიაშვილი, თ. როდონაია

ანოტაცია: უმაღლესი სასწავლებლის, როგორც ბრენდის ფასეულობებისა და ღირებულებების აღქმა დამოკიდებულია ეფექტიან კომუნიკაციის საშუალებებზე, სწორად შერჩეულ გზავნილებზე, არხებზე. ბრენდის საკომუნიკაციო საშუალების ყველაზე ეფექტური საშუალება არის ინტეგრირებული ორმხრივი კომუნიკაცია მომხმარებელთან, სასწავლებლის სარგებელი ზუსტად, ზედმიწევნით უნდა მიეწოდოს მომხმარებელს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უმაღლესი სასწავლებლის ბრენდის მართვის პროცესში ღირებულება და მომხმარებლის მოლოდინი უნდა იყოს

თანხვედრაში, ერთი მთლიანი ნაწილი. ამისთვის საჭიროა მომხმარებლის მუდმივი კვლევა და მოთხოვნილებების შესწავლა. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დაპირებისა და რეალობას შორის არსებული ჩავარდნების იდენტიფიცირება და პრობლემებზე დაუყოვნებლივ რეაგირება ადამიანური, ფინანსური თუ ტექნოლოგიური რესურსების გამოყენებით.

ყველაზე მნიშვნელოვანი არის სასწავლებლის სისტემატიური შეცვლა, ბრენდინგი უნდა გამოხატავდეს უმაღლეს სასწავლებელს თუ რა არის იგი დღეს და საიტკენ მიიღტვის. სწორად შესრულებული ბრენდის სტიმულირებით მომხმარებელი მთელს უმაღლეს სასწავლებელს აღიქვავს როგორც ერთიანს, საერთო ხედვითა და მიზნებით.

გამომცემლობა: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“ სტუ. 19-20 მაისი, 2017

Higher education brand management process

Tamar rostiashvili, Tinatin rodonaia

Resume: Perception of the value of higher education institution as a brand depends on efficient means of communication, accurately selected messages and channels. The most efficient means of brand communication is integrated two-way communication with customers. Brand communications represent the voice of the brand and are means by which the brand can establish a dialogue and build relationships with consumers. The most significant in higher education brand management process is that value of the institutional brand and customer expectation should coincide. To achieve this goal it is necessary: to conduct permanent and consistent research of the image, so to reveal “competitive” and other comparative advantages of the institution and how services can be best provided to the target group; Consistent survey of students, applicants, academic and administrative staff, base the communication strategy on the results of the survey; Systematic research of the

labour market, identification of its situational and long-term demand and orientating on them; To creating integrated marketing strategy based on research;

Publishing: Georgian Technical University, international Scintific conference “Globalization and business modern challenges”. 2017

პერსონალის მართვის თავისებურებები მცირე ბიზნესში

თ. როსტიაშვილი, ფ. კირკიტაძე

ანოტაცია: მცირე ბიზნესში პერსონალის მართვა მიმართულია ორგანიზაციის ოპერატიული ინტერესების უზრუნველყოფისაკენ. სტატიაში ჩამოთვლილია ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ მცირე ბიზნესის მართვის სპეციფიკურ მეთოდებს. პერსონალის მართვის მეთოდების განსაკუთრებული ანალიზისათვის მცირე საწარმოებში ჩვენ მიერ ჩატარებული იქნა სპეციალიზირებული გამოკვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 100-მა თანამშრომელმა. შერჩევაში ჩართულ იქნა ყველა საწარმო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებით, მათ შორის სახელმწიფო ფირმები და დადგინდა, რომ თანამშრომლების ხშირად გათავისუფლება და აყვანა სამსახურში ხორციელდება დეპარტამენტის უშუალო მონაწილეობით მათი საქმიანობის შეფასებითა და ორგანიზებიდან გამომდინარე.

ჩვენ გამოვავლინეთ მცირე ბიზნესში პერსონალის მართვის სპეციფიური შტრიხები, რომლებიც არ არის დამოკიდებული გარე ფაქტორებზე, საკუთრების ფორმებზე და ორგანიზაციის საქმიანობის სფეროზე. ურთიერთობაში ნაკლები ბიუროკრატია და ფორმალობა იწვევს ინდივიდუალურ მიდგომას ყოველი სიტუაციისა და თანამშრომლის მიმართ. მეორეს მხრივ კონფლიქტების წარმოშობის ალბათობა იზრდება, მათი გადაჭრის შესაძლებლობები მცირდება ოფიციალური მეთოდებით, უფრო გამოკვეთილი ხდება ხელმძღვანელის პირადი სიმპატიისა და ანტიპატიის გავლენა თანამშრომლების ურთიერთობაზე. გარდა ამისა არასისტემატურობას, ხელმძღვანელების სპონტანურ ზემოქმედებას მივყავართ დაუფიქრებელ არაადეკვატურ კონკრეტული სიტუაციის გადაწყვეტილებასთან, რაც წარმოადგენს პერსონალთან მუშაობის არაეფექტურობის მიზეზს.

გამომცემლობა: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“ სტუ. 19-20 მაისი, 2017

Specific approaches of small business HR Management

Tamar rostiashvili, Pikria Kirkitadze.

Resume: The management of staff in small business is directed towards ensuring the operational interests of the organization. The article lists the factors that define the specific methods of small business management. For special analysis of personnel management methods, we conducted specialized research in small enterprises, involving 100 employees. Selection has been incorporated in all enterprise organizational and legal forms, including state firms, and it has been established that frequent exemption and recruitment of employees is carried out by the Department's direct participation in assessing and organizing their activities. We have revealed specific tools for managing personnel in small business that are not dependent on external factors, property forms and activities of the organization. Less bureaucracy in relationships and formality invites individual approach to every situation and employee. On the other hand, the likelihood of conflicts increases, the possibilities of their solutions are reduced by official methods, and the influence of the personal sympathy and antipathy on the personal relationship is more pronounced. Besides, the lack of skepticism, the spontaneous impact of the leadership leads to the decision of an inadequate concrete situation that is the cause of inefficiency to work with the personnel.

Publishing: Georgian Technical University, international Scientific conference "Globalization and business modern challenges". 2017

ინფორმაციული ნაკადები და რესურსები როგორც მნიშვნელოვანი ინტეგრაციული ფაქტორები კონფლიქტური რეგიონებისათვის მ. სოსელია, თ. როსტიაშვილი

ანოტაცია: კონფლიქტური რეგიონებში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია მოითხოვს პირობების შექმნას ბაზრის ინფრასტრუქტურის მომსახურე სამრეწველო, სავაჭრო, სატრანსპორტო-საექსპედიტორო კომპანიების გასაერთიანებლად ინტეგრირებულ ლოგისტიკურ ჯაჭვებსა და ქსელებში.

რეგიონის ერთიანი საინფორმაციო სივრცე წარმოადგენს რეგიონის მართვის შემადგენელ ნაწილს და ასრულებს მაინტეგრირებელ როლს, ზრდის დარგობრივი და ტერიტორიული ამოცანების უფრო რაციონალური გადაწყვეტის პოტენციურ შესაძლებლობებს.

გამომცემლობა: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია შ. მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2017წ.

Title of the work: Information streams and resources as important integrative factors for conflict regions

Maia Soselia, Tamar Rostiashvili

Resume: In this paper, information streams are discussed in the conflict regions with ongoing socioeconomic and integrative processes. That issues, tools and technologies operated by the region's subjects, we perceive as the logistic resources. The use of logistics creates per-requisites for integrating market demand and not only regional and connectivity, but also contributing the uniformity of the country's economic space.

Publishing: Zugdidi University, international Scientific conference “”. 2017

ტექნოლოგიური პლატფორმების გავლენა ინოვაციური კლასტერების ფორმირებაზე

ნადარეიშვილი ნანა, ძიძიკაშვილი ნოდარ

ანოტაცია: საქართველოში ოფიციალურად დეკლარირებული „სტრატეგია 2020“-ის თანახმად უახლოეს მომავალში ქვეყანა უნდა განვითარდეს ცოდნაზე დაფუძნებული ინკლუზიური ეკონომიკის პარადიგმით, რაც ითვალისწინებს შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებას. ეკონომიკის განვითარების აღნიშნული მიმართულებით მოძრავ დასავლეთის ქვეყნებში, სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვან მექანიზმად აღიარებულია ინოვაციური განვითარების სტიმულირება ტექნოლოგიური პლატფორმებისა და ინოვაციური კლასტერების მეშვეობით.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ინოვაციური პოლიტიკის ორი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტის, ტექნოლოგიური პლატფორმებისა და ინოვაციური კლასტერების ურთიერთკავშირი.

ინოვაციური პოლიტიკისა და სისტემის აღნიშნული ინსტრუმენტები საქართველოში პრაქტიკულად არ არის დანერგილი და იდენტიფიცირებული. მაგრამ, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების თანახმად ევროკავშირში დანერგილი ინოვაციური სისტემის ყველა ელემენტი, სტრუქტურა და ინსტიტუტი სინქრონიზაციაში უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობასთან და შესაბამის ინსტიტუტებთან.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ-ჯერობით, საქართველოში არც ერთი კლასტერი არ არის იდენტიფიცირებული და დატანილი კლასტერების ევროპული ობსერვატორიის რუკაზე, ქართულ სამეცნიერო პუბლიკაციებში, ამ ბოლო დროს შეიმჩნევა აღნიშნული თემატიკის მოდურობაც. განსხვავებული სიტუაციაა ტექნოლოგიური პლატფორმების მხრივ. ამჟამად, ეს ინოვაციური განვითარების ინსტრუმენტი არ არის დანერგილი ჩვენს ქვეყანაში და არც სამეცნიერო წრეებში გამხდარა განხილვის საგანი.

უცხოური გამოცდილება მოწმობს, რომ ინოვაციური კლასტერები და ტექნოლოგიური პლატფორმები ურთიერთკავშირში არიან და აძლიერებენ ურთიერთმოქმედებებს, ერთობლივად იწვევენ პოზიტიურ ეფექტებს ეკონომიკის ინოვაციურად განვითარებაში.

ნაშრომში მოცემულია რეკომენდაციები და ღონისძიებები სამთავრობო სტრუქტურებისთვის, რომლებიც ხელს შეუწყობენ ტექნოლოგიური პლატფორმების მეშვეობით ინოვაციური კლასტერების ფორმირება-განვითარებას.

გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული I.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2017. გვ. 132-137.

The impact of technological platforms on formation of innovative clusters

Nadareishvili Nana. Dzidzikashvili Nodar

Resume

According to officially declared “strategy 2020”, Georgia in the nearest future has to develop a knowledge-based, inclusive economic paradigm, which considers formation of appropriate public policy. In Western countries moving towards the same economic direction, one of the most important mechanisms for state policy is stimulation of innovative development by technological platforms and innovative clusters.

The paper discusses linkage between technological platforms and innovative clusters, which are the two most important instruments for innovative politics.

Given instruments of innovative politics and systems, are not identified and implemented in Georgia, but according to EU Association Agreement all elements, structures and institutes of innovative systems implemented in EU, must be synchronized with Georgian law and relevant institutions.

Despite the fact that so far, none of Georgia’s clusters have been identified and marked on the map of clusters in the European Observatory, the interest in given subject can be observed in recent Georgian scientific publications. The situation is different on technological platforms subject, currently, since this innovative development tool is not implemented in our country yet, it has not been subject of discussion in scientific communities.

Foreign experience shows that innovative clusters and technological platforms are interconnected and reinforce interaction, to jointly produce positive effects on the economy of innovative development.

The paper gives the recommendations and offers activities for government agencies, which will promote the formation-development of innovative clusters through technological platforms.

GLOBALIZATION AND CUENT CHALLENGES IN BUSINESS. International Scientific Conference Proceedings I. Publishing House “Technical University”, 2017, p. 132-137.

ენტროპია და სინერგეტიკა მენეჯმენტსა და მარკეტინგში

ირმა მახარაშვილი, ლია ბერიკაშვილი, ბადრი გეჯაია, ბადრი ცხადაძე

ანოტაცია

ენტროპიას და სინერგეტიკულ მიდგომებს ბიზნესპროცესებში, მენეჯმენტსა და მარკეტინგში სპეციალისტები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. აქედან გამომდინარე წიგნში განხილულია ისეთი საკითხები, როგორცაა: ენტროპიის ფაქტორები რეგიონალურ მენეჯმენტში, სინერგეტიკული მიდგომები მარკეტინგის მართვის პროცესში, მარკეტინგის ინოვაციური მართვის კონცეფციების შემუშავება სინერგეტიკული მიდგომის საფუძველზე და სინერგეტიკული მიდგომის დანერგვა და დასაბუთება ტურისტული მომსახურების მარკეტინგის მართვის პირობებში. გამომც. კალმოსანი 2017წ. ISBN 978-9941-9514-9-7

Entropy and synergistics in management and marketing

Irma Makharashvili, Lia Berikashvili, Badri Gjabaia, Badri Tskhadadze

Annotation

Entropy and synergistic approaches in business processes, in management and marketing are paid a special attention by specialists. The book deals with issues such as: Entropy Factors in Regional Management, Synergistic Approaches in Marketing

Management, Developing Marketing Innovative management Concepts based on synergistic approach and introduction of synergistic approach and substantiation of it in terms of tourism service marketing management.

Publisher "Calmosani" 2017 ISBN 978-9941-9514-9-7

**კატეგორიების მენეჯმენტი, როგორც ეფექტური რეაგირება მომხმარებლის
მოთხოვნაზე**

ე. ბარათაშვილი, ლ. ბერიკაშვილი

ანოტაცია

კატეგორიების მენეჯმენტი ანუ ასორტიმენტის მართვა სასაქონლო კატეგორიების მიხედვით - ასორტიმენტის მართვის მიდგომაა, რომელიც განსაზღვრავს შემდეგ წესებს: საქონლის საყოველთაოდ მიღებულ ჯგუფების და სახეების შესაბამისად მთელი ასორტიმენტის დაყოფა სასაქონლო კატეგორიებად არ არის აუცილებელი, ამიტომ პირველ რიგში უნდა დავეყრდნოთ მყიდველის შეხედულებებსა და ფსიქოლოგიას; კატეგორიის მოძრაობის მთელ ციკლში - შესყიდვიდან გაყიდვამდე - სავაჭრო დაწესებულების ერთი მუშაკის პასუხისმგებლობა; ყოველი სასაქონლო კატეგორია კომპანიის ჩარჩოში უნდა განვიხილოთ, როგორც მინი საწარმო თავისი ბიუჯეტით, ფასწარმოქმნით, შესყიდვების პოლიტიკით და ა. შ.

კატეგორიების მენეჯმენტის ერთი წესის განხილვას მივყავართ იმასთან, რომ მასთან ერთად განვიხილოთ სხვებიც. სწორედ ამიტომაც კატეგორიების მენეჯმენტი არის სისტემა. არ შეიძლება კატეგორიების მენეჯმენტი დაინერგოს მხოლოდ ერთ განყოფილებაში, ისევე როგორც არ შეიძლება კატეგორიების მართვის საკითხები განვიხილოთ კატეგორიების მენეჯერთა მოტივაციაზე საუბრის გარეშე, ხოლო ასორტიმენტის სტრუქტურის საკითხები - მომხმარებლების და მთლიანად მაღაზიის კონცეფციის გარეშე.

II საერთაშორისო სამეცნიერ-პრაქტიკული კონფერენცია, თანამედროვე მენეჯმენტია თეორია და პრაქტიკა თბ. 2017 გვ. 282-287

Category Management, as an Effective Response to User Requests

E. Baratashvili, L. Berikashvili

Annotation Categories of management, as the range of management of commodity categories, is an approach that determines the following rules: There is no need to

divide the entire range accordingly accepted notions of commodity groups. It should first of all take into account the needs and the psychology of the consumer; In a series of movements category (from procurement to sales) is necessary to determine the responsibility of each employee of trade organization; Each product category the company should be considered as a mini-company with its own budget, pricing, procurement policies, etc. By assortment of shops must be approached as a community categories.

Consideration of rule categories of management entails a consideration of all the others. That is why management is a system of categories. It is impossible to introduce the categories management in only one division of the company, just as it is impossible to consider the categories of control without considering the motivation of managers, or the range of issues of structure without considering the concepts of organization and customers.

II International Scientific-Practical Conference, Modern Management Theory and Practice Tb. 2017 p. 282-287

სინერგეტიკული პროცესები მარკეტინგის მენეჯმენტში

ლ.ბერიკაშვილი, ი. მახარაშვილი

ანოტაცია

მარკეტინგის სისტემის მართვისას მეცნიერული მიდგომებით, მით უფრო სინერგიზმისა და სინერგეტიკული იდეების გამოყენებით ვეზიარებით ახალ ინოვაციურ მეთოდებს, რომელთა მეშვეობით შედეგად ვიღებთ არსებითად სრულიად ახალ ჯგუფს. სინერგეტიკული იდეების გამოყენება გვეხმარება მართვის ეფექტიანობის ამაღლებაში, კერძოდ, განსაკუთრებული დანახარჯების გარეშე შევიცნოთ და გავიაზროთ მნიშვნელოვანი ხარვეზები და მათი აღმოფხვრის გზები. სწორედ ასეთი მიდგომით შეიძლება მოვახდინოთ სახსრების და ხარჯების დაზოგვა.

სინერგეტიკის სპეციფიკაა ხაზობრივი აზროვნების თვალთახედვით ღია სისტემებში შეისწავლოს თვითორგანიზაციის პროცესები. მარკეტინგის სისტემაში სინერგეტიკული ეფექტი სხვა არაფერია, თუ არა მისი ელემენტების კოოპერაციული მოქმედების შედეგი. სინერგეტიკის პოზიციიდან გამოყოფილი მარკეტინგის სისტემის ყველა ელემენტი რეალიზდება როგორც სისტემის რეაქცია მის შიგა და გარე წინააღმდეგობებზე. რამდენად ადეკვატურია სისტემის რეაქცია გამაღიზიანებლებზე, განსაზღვროს მოცემული სისტემის სიმყარე ან კიდევ მის ეკონომიკური პოტენციალი.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული I „გლობალიზაციის და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2017წ. გვ. 30-34

Synergic Prosses in Marketing Management

L. Berikashvili, I. Makharashvili

Annotation

At the managment of marketing system,with scientific approaches,especially by using synergy and synergic ideas,we commute with new inovativ methods,by means of it we get essentially new group. Using of synergic ideas help us to increase management effectivness ,especially knowing and understanding important ways of eliminating gaps, without special expenses.

By means of such approach it would be able to save resources and expenses. studing self-organizing processes with a linear-thinking in open system is specific of synergy. In marketing system synergy effect is nothing more than the result of co-operative acts of it's elements. All elements from synergic position are realized as system's reaction with its inner and external resistances. How adequate is system's reaction on its irritants, to determine the solidity or its economical potential.

Collection of International Scientific Conference I "Modernization and Business Modern Challenges" Georgian Technical University, 2017 p. 30-34.

სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები ბორჯომის რაიონის ტურისტული პოტენციალის სრულად გამოყენებისათვის

ირაკლი ქვარაია, ელისაბედ მალანია

რეზიუმე

საქართველოში, ტურიზმი, ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს, მაგრამ ახალი ტურისტული ცენტრების გახსნის პირობებში არასათანადო ყურადღება ექცევა ტრადიციული, კარგად ცნობილი ტურისტული ადგილების ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობას. მოყვანილია ბორჯომის რაიონის მაგალითი, რომელიც უნიკალურია ტურისტული პოტენციალით მთელი მსოფლიოს მასშტაბით. იგი გამოირჩევა გეოგრაფიული და ეკოლოგიური ზონების მრავალფეროვნებით, ულამაზესი ლანდშაფტით, მდიდარი ფლორითა და ფაუნით. ისტორიული ძეგლების და კურორტების სიმრავლით, აქ განთავსებულია საქართველოს 102 კურორტიდან 10. საყოველთაოდ აღიარებული 300-მდე ტურიზმის სახეობიდან ამ რაიონში მათი დიდი უმრავლესობის განხორციელებაა შესაძლებელი.

